კომერციული ბანკი - სს „საქართველოს ბანკის" (ს/ნ: 204378869, ლიცენზია №86) მიმართ ფულადი ჯარიმის დაკისრების თაობაზე

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, კომერციული ბანკი - სს „საქართველოს ბანკი" (ს/ნ 204378869, ლიცენზიის ნომერი №86) საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2009 წლის 25 დეკემბრის №242/01 ბრძანებით დამტკიცებული „კომერციული ბანკების და მისი ადმინისტრატორების მიმართ ფულადი ჯარიმების განსაზღვრისა და დაკისრების წესის" მე-2 მუხლის 8^{10} პუნქტის საფუძველზე 3,485,000 (სამი მილიონ ოთხას ოთხმოცდახუთი ათასი) ლარით დააჯარიმა. აღნიშნული სანქცია (ფულადი ჯარიმა) მოიცავს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 13 მარტის №44/04 ბრძანებით დამტკიცებული „ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ" დებულების მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნის დარღვევის ფაქტებს.